

სახელმწიფო მმართველობის ფორმების გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ- ეკონომიკურ განვითარებაზე

ლია გელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერებები (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი (ასოცირებული პროფესორი)

თანახელმძღვანელი: გიორგი გოთუა (მოწვეული მასწავლებელი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლია გელაშვილი,

ლ. გელაშვილი,

26. 06. 2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს სახელმწიფო მმართველობის ფორმების (საპრეზიდენტო, საპარლამენტო) გავლენას ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. თემის ფარგლებში მიმოხილულია მოცემული საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, აკადემიური სტატიები, კვლევები და მოსაზრებები. აგრეთვე, სხვადასხვა ოფიციალური ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები. ნაშრომის მიზანია სახელმწიფო მმართველობის საპრეზიდენტო და საპარლამენტო დემოკრატიებში პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების განსხვავების წარმოდგენა; ჩვენება იმისა თუ, სახელმწიფო მმართველობის რომელი ფორმა ქვეყნის, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური, ანდა კომბინირებულად, ორივე მახასიათებლის განვითარების გარანტი; აგრეთვე, დემოკრატიის სხვადასხვა ხარისხის სახელმწიფოებში როგორ და რა ტენდენციებით განისაზღვრება სახელმწიფო მმართველობის კონკრეტული ფორმა სხვადასხვა (პოლიტიკური თუ ეკონომიკური) მახასიათებლების შეფასების გათვალისწინებით.

თემის ფარგლებში გაეცა კითხვას პასუხი, რომ სახელმწიფოს კონკრეტული მმართველობითი ფორმა ქვეყნის მშვიდობიანი და სტაბილური შიდა პოლიტიკური ცხოვრებისა და მდგრადი ეკონომიკური წინსვლის პრერეკვიზიტია. შესაბამისად, ნაშრომში შემოწმდა ჰიპოთეზა, რომ სახელმწიფო მმართველობის კონკრეტული ფორმა განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური პროცესების სპეციფიკურობასა და ეკონომიკის სხვადასხვა ხარისხით განვითარებას. ნაშრომში ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოყენებულია ჩეიზუბის პრეზიდენტალიზმისა და ბაგის პარლამენტარიზმის თეორიები, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმების განმსაზღვრელი ბერკეტი, რომლის საშუალებითაც აიხსნა სახელმწიფო მმართველობის საპრეზიდენტო და საპარლამენტო ფორმების გავლენა ქვეყნის, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ განვითარებაზე.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შერეული დიზაინის (თვისებრივი, რაოდენობრივი) მეთოდოლოგია. მოცემული კვლევა Case Study და Comparative Case Study ანალიზის მეთოდებს იყენებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, სახელმწიფო მმართველობის ფორმების გავლენის შესწავლისა და შემდგომი შედეგების მიზნით, ხოლო რაოდენობრივი მეთოდოლოგია სტატისტიკური გათვლებისათვის იყენებს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინდექსებს, წარმოდგენილი ჰიპოთეზის შემოწმების მიზნით.

ნაშრომში განისაზღვრა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში სახელმწიფო მმართველობის ფორმების გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე საპარლამენტო და საპრეზიდენტო მმართველობითი ფორმების გავლენის ნაკლოვანი და უპირატესი მხარეები. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მმართველობის საპარლამენტო სისტემა არის ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი, ხოლო მმართველობის საპრეზიდენტო სისტემა ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად ეფექტურია.

საიდენტიფიკაციო სიტყვები: სახელმწიფო მმართველობის ფორმები, პარლამენტარიზმი, პრეზიდენტალიზმი, პოლიტიკური განვითარება, ეკონომიკური განვითარება.

Abstract

The present thesis examines the influence of forms of state governance (presidential and parliamentary) on the country's political and economic development. In the frames of the theme, scientific literature was reviewed given around the topic, academic articles, researches and opinions; also, statistical data of various official organizations. The purpose of the work is to represent the difference of political and economic development between the presidential and parliamentary democracies of state governance. To demonstrate which form of state governance is the guarantee of development of the country as economic, political, or both characteristics combined; Also, how and in what trends the specific form of state governance is determined on assessment of different (political or economic) characteristics in different state of democracy.

Within the theses, the answer to the question is that the specific management form of the state is a prerequisite for the peaceful and stable internal political life and sustainable economic advancement for country. Consequently, the hypothesis, that the specific form of state governance determines the specificity of the country's political processes and the development of the varying degrees of economy, was examined in the thesis. The presidential theory of Cheibub and parliamentarianism theory of Bagce, were used to examine the hypothesis, as a lever determining the forms of state governance, though which the influence of the presidential and parliamentary forms of state governance on the country's political and economic development was explained.

A mixed design (qualitative, quantitative) methodology is used in the study. Research uses Case Study and Comparative Case Study analysis methods in the United States and Germany, for learning the influence of state government forms on the political and economic

development and for further comparison purposes. The quantitative methodology uses economic and political indices for the statistical tabulations for the purpose of testing the hypothesis.

The influence of the forms of state governance on the political and economic development of the country in the United States and Germany was determined in the theses. As a result, of the survey, the incomplete and prevalent sides of the influence of parliamentary and presidential governance on political and economic development have been identified. The results of the research made it clear, that the parliamentary system of governance is a guarantee of political stability in the country and the presidential system of governance is more efficient in economic terms.

Identifying words: forms of state governance; Presidential; Parliamentarianism; political development; economic development.

მადლობა

აღნიშნული ნაშრომის მომზადება წარმოუდგენელი იქნებოდა ყველა იმ ადამიანის მხარდაჭერის გარეშე, ვინც კვლევის პროცესში არაერთი საინტერესო და საგულისხმო რჩევა მომცა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ნინო ფავლენიშვილს. მან საკუთარი კრიტიკული მოსაზრებებით, რჩევებითა და წინადადებებით მნიშვნელოვანი დახმარება აღმომიჩინა კვლევის ყველა ეტაპზე. ამავდროულად, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი ნაშრომის აკადემიურ თანახელმძღვანელს, ბატონ გიორგი გოთუას გაწეული დახმარებისათვის.